საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2021 წლის 16 ივლისი**

დისციპლინური საქმე №19/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2020 წლის 20 თებერვლის №19 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 18 ივნისის №19/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე -- -- გასცდა მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას და სარჩელში მითითებულ ერთ-ერთ მოპასუხეს განჩინებაში უწოდა მესამე პირი. სავარაუდოდ, მოსამართლე არ გაეცნო სარჩელს სათანადოდ და რადგან სარჩელში ხსენებული პირი მესამე მოპასუხედ იყო მითითებული, ჩათვალა, რომ ის იყო მესამე პირი. მოსამართლის ზედაპირული დამოკიდებულება ვლინდება იმაშიც, რომ მიღებულ განჩინებაში არასწორადაა მითითებული სარჩელში საჩივრის ავტორის მიერ ჩამოყალიბებული ფაქტობრივი გარემოებები.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2019 წლის 24 სექტემბერს -- --, -- -- და -- -- წარმომადგენელმა -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხეების, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს -- -- ოფისის და -- -- მიმართ და -- -- გაცემული სამკვიდრო მოწმობის და ამ მოწმობის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა მოითხოვა. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2019 წლის 26 სექტემბრის განჩინებით ხსენებულ სარჩელზე დადგინდა ხარვეზი (საქმე №--; მოპასუხეები: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს -- -- ოფისი, მესამე პირი: -- --), სარჩელში სრულყოფილად არ იყო მითითებული ფაქტები, გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებდა თავის მოთხოვნას. სარჩელის შესაბამის გრაფაში არ იყო მითითებული მოთხოვნის სამართლებრივი დასაბუთება. გარდა ამისა, დასაზუსტებელი

იყო სასარჩელო მოთხოვნა და მოპასუხეები. მოსამართლე ასევე აღნიშნავდა, რომ შესაძლოა, საქმე საერთოდ არ ყოფილიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი და სამომავლოდ, მომხდარიყო მისი სამოქალაქო სამართლებრივი წესით განხილვა.

2019 წლის 07 ოქტომბერს მოსარჩელეების წარმომადგენელმა სასამართლოს წარუდგინა ხარვეზის შევსების დამადასტურებელი განცხადება. -- -- ასევე აღნიშნავდა, რომ დიდწილად ეთანხმებოდა განსაჯადობის შესახებ მოსამართლის მსჯელობას.

2019 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება (საქმე №--; მოპასუხეები: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს -- -- ოფისი, მესამე პირი: -- --) -- -- სასამართლოსათვის სარჩელის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად გადაცემის შესახებ. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

-- -- სასამართლოს 2019 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელეებს უარი ეთქვათ სარჩელის განსახილველად მიღებაზე, სასარჩელო მოთხოვნა იყო ბუნდოვანი და საჭიროებდა დაზუსტებას. გარდა ამისა, დასაზუსტებელი იყო მოპასუხეთა წრე. ასევე, სარჩელს არ ახლდა სახელმწიფო ბაჟის სათანადო ოდენობით გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნული განჩინება -- -- გაეგზავნა 2019 წლის 01 ნოემბერს და ის არ გასაჩივრებულა.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- 2020 წლის 20 თებერვლის №19 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით.“

ხსენებული ნორმის შინაარსიდან ცხადი ხდება, რომ სამოსამართლო უფლებამოსილების არაჯეროვნად, მიკერძოებულად განხორციელება შეიძლება განპირობებული იყოს სამი ძირითადი ფაქტორით. ესენია, საქმის განხილვის საბოლოო შედეგთან ან კონკრეტულ საპროცესო მოქმედებასთან დაკავშირებული მოსამართლის პირადი ინტერესი, მოსამართლის პოლიტიკური შეხედულებები ან/და სოციალური ზეგავლენა, რაც კონკრეტული საქმის გადაწყვეტის პროცესში მოსამართლის მიერ საზოგადოებრივი აზრით ნაკარნახევი ქმედების განხორციელებას გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ მოსამართლის მხრიდან საქმისადმი პირადი ინტერესეს შემთხვევაში, ქმედება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს გადაცდომად, შეიძლება იყოს როგორც მოსამართლის მიკერძოებული დამოკიდებულება საქმის ერთ-ერთი მხარის მიმართ, ისე ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულება ან მოსამართლის მიერ საკუთარი ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა.

წინამდებარე საქმის ფარგლებში საჩივრის ავტორის პრეტენზია ეხება პირადი ინტერესის საფუძველზე საქმის განხილვის ერთ-ერთი მხარის მიმართ მოსამართლის მიკერძოებულ დამოკიდებულებას და ამ დამოკიდებულების საფუძველზე გარკვეული საპროცესო მოქმედებების განხორციელებას (სარჩელის გაცნობის გარეშე სარჩელის წარმოებაში მიღება და სასამართლო განხილვის სწრაფად ჩანიშვნა).

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლი ადგენს სასამართლოში საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას. ხსენებული ნორმის პირველი პუნქტის

პირველი წინადადების თანახმად, ყველას აქვს უფლება მისი საქმე განხილულ იქნას „დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.“ ცხადია, მოსამართლის პირადი დაინტერესება საქმის განხილვის მიმართ, გამორიცხავს სასამართლოს დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას და ამდენად, მოსამართლის პირადი ინტერესის შეფასებისას, მის მიერ კონკრეტული მხარის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულების დადასტურება კონვენციის ხსენებული მუხლის საწინააღმდეგო ქმედებად უნდა შეფასდეს.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) №3 დასკვნაში (აბზ. 20) მიუკერძოებლობა განმარტებულია, როგორც სუბიექტური მიდგომების და ობიექტური კრიტერიუმების ერთობლიობა. მიუკერძოებლობა გაგებული უნდა იყოს „... სუბიექტური მიდგომების გათვალისწინებით, რომელშიც მხედველობაში მიიღება ცალკეული მოსამართლის პირადი შეხედულებები და ინტერესები კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით...“

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) №3 დასკვნის 23-ე აბზაცის თანახმად, „მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები რაიმე სახის უპირატესობის, მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი განწყობის გარეშე,... მოსამართლეებმა პატივისცემა უნდა გამოიჩინონ საქმის მონაწილე ყველა პირისადმი რაიმე სახის განსხვავების გარეშე...“. მოსამართლეებმა იმგვარად უნდა განახორციელონ საკუთარი უფლებამოსილება, რომ „... მათი პროფესიული კომპეტენტურობა თვალსაჩინო იყოს.“ ხსენებული დასკვნის 21-ე აბზაცის მიხედვით, „მოსამართლეებმა ნებისმიერ გარემოში უნდა იმოქმედონ მიუკერძოებლად და უზრუნველყონ, რომ მოქალაქეებს არ ჰქონდეთ კანონიერი საფუძველი დაეჭვდნენ მათ რაიმე სახის მიკერძოებაში.“

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1985 წელს შემუშავებული დოკუმენტის, „სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები“-ს მეორე მუხლი ითვალისწინებს შემდეგ პირობას: „სასამართლომ მის წინაშე წარდგენილი საქმეები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების, ზეწოლის, დაშინების ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე.“

მოყვანილ მსჯელობას განამტკიცებს „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ მეორე ღირებულება, რომლის მიხედვით, „მოსამართლის მიუკერძოებლობა მის მიერ თავისი მოვალეობების ჯეროვნად შესრულების აუცილებელი პირობაა. ის ვრცელდება არა მხოლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსზე, არამედ იმ პროცესზეც, რომელიც წინ უძღვის გადაწყვეტილების მიღებას.“

„მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“-ს 2.2. პუნქტის თანახმად, „მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს რომ მისი ქცევა როგორც სასამართლოში, ასევე მის გარეთ იცავდეს და ამაღლებდეს მოსამართლის და სასამართლოს მიუკერძოებლობის მიმართ ნდობას, როგორც საზოგადოების, ასევე იურიდიული პროფესიების და მხარეების მხრიდან.“

ამასთან, სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

წინასწარი მოკვლევის შედეგად დადასტურდა, რომ 2019 წლის 24 სექტემბერს -- --, -- -- და -- -- წარმომადგენელმა, -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხეების, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს -- -- ოფისის და -- -- მიმართ. საქმე განსახილველად მოსამართლე -- -- გადაეცა. სარჩელში აღნიშნული იყო, რომ კონკრეტულ საქმეში, -- -- საერთოდ გარეშე პირს წარმოადგენდა. საჩივრის ავტორის მტკიცება იმის თაობაზე, რომ 2019 წლის 26 სექტემბრის განჩინებაში -- -- მოსამართლეს მითითებული ჰყავდა მესამე პირად, მართლაც შეესაბამება

რეალობას, თუმცა, აღნიშნულ განჩინებაში მოსამართლე მიუთითებდა ამ გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძვლებს და იმავდროულად, ეხმიანებოდა მოსარჩელეების მიერ სარჩელში მოყვანილ არგუმენტაციას. მოსამართლე -- -- საქმეში -- -- მესამე პირად ჩართვის შემთხვევაში მოქმედებდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის შესაბამისად. წინასწარი მოკვლევის შედეგად, საჩივრის ავტორის მიერ მითითებული სხვა გარემოებები არ დადასტურდა.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №19/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი